განკარგულება:**g-81.81220965**
თარიღი:**06/04/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №21

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შექმნილი ქონების, ლაძგვერიის წყაროსთან მდებარე საზოგადოებრივი ნაგებობების მოვლა-პატრონობის მიზნით, კომერციული საქმიანობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ‘‘ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შექმნილი ქონების, ლაძგვერიის წყაროსთან მდებარე საზოგადოებრივი ნაგებობების მოვლა-პატრონობის მიზნით კომერციული საქმიანობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის თაობაზე.

2. წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა-600 ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-50 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი